ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2017/227

ქ. თბილისი 28 სექტემბერი 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი **სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური სამსახურის უფროსის **კობა ხუბუნაიას** სახით და მეორე მხრივ **შპს "სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის **ბინიამი ლაჰავის** სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიურო"-ს ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გააქტიურება პარკირების სისტემაში (CPV – 63700000; 63712400).

1.2 სისტემაში გასააქტიურებელი კონკრეტული ავტომობილების ჩამონათვალი მარკისა და სანომრე ნიშნების შესაბამისად მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **100.00 (ასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2.2 **1 (ერთი)** ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათის პარკირების ნებართვის ღირებულება შეადგენს **50 (ორმოცდაათი)** ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 განახორციელოს ქ. თბილისის მასშტაბით პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე დანართი N1-ით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სისტემაში გააქტიურება 2017 წლის 02 ოქტომბრიდან და მისცეს შემსყიდველს აღნიშნული პარკირების სისტემით სარგებლობის უფლება 1 (ერთი) სრული წლის განმავლობაში;

3.1.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

3.1.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.1.4 შემსყიდველის მხრიდან ავტომობილ(ებ)ზე ინტერესის დაკარგვის ან/და ავტომობილ(ებ)ზე სანომრე ნიშნ(ებ)ის შეცვლის შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება მოხდება უფასოდ.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

3.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს (ლოჯისტიკის განყოფილების ტექნიკური მენეჯერი ან ტექნიკური მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

4.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება პარკირების სისტემის გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

5.2. პარკირების სისტემაში გააქტიურების შემდეგ ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.3 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ „ აღსრულებლის ეროვნული ბიუროს“ ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ან უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

7. ცვლილებები

7.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, ამ შემთხვევაშიც დასაშვებია მხოლოდ 10%-იანი ფასების ზრდა.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1.ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით _ ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ (3) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან 2 (ორი) ეგზემპლარი „შემსყიდველთან", 1

(ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან“. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“
თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459
საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873

კობა ხუბულაია
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „სი-ტი პარკ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204543770;
თბილისი, კანდელაკის ქ. 47;
ტელ: 2 24 44 41;
ს.ს. „თიბისი ბანკი“;
ბანკის კოდი: TBCBGE22 ;
ა/ა: GE75TB 7721 3360 7010 0003.

ბინიამინ ლაჰავი
გენერალური მენეჯერი

დანართი N1

№	ავტომობილის მარკა/მოდელი	გამოშვების წელი	სახ. ნომერი
1	FORD TRANSIT	2016	LL-788-JJ
2	SKODA OCTAVIA	2011	BNB-580

„შემსყიდველი“

კობა ხუბუნაია
ეკონომიკური სამსახურის უფროსი

„მიმწოდებელი“

ზინიამინ დარჩავი
გენერალური მენეჯერი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

28 სექტემბერი 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ **სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გააქტიურებას პარკირების სისტემაში** გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **2017 წლის 28 სექტემბერს №2017/227** ხელშეკრულების გაფორმების პროცედურებში **შპს „სი-ტი პარკ“-თან** ჩვენი მონაწილეობით, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ეკონომიკური სამსახურის უფროსი _____ /კობა ხუბუნაია/

შესყიდვების განყოფილების უფროსი _____ /თამარ ყუფარაძე/

ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი _____ /გერონტი ცინდელიანი/